



ევროკავშირი
საქართველოსთვის



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 23 სექტემბერი, 2020 წელი

დრო: 15:00 – 16:00 საათი

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მაკა ჯახუა - ასოციაცია და რადიო „მწვანე ტალღა“
2. ქეთევან კურცხალია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
3. ალლა გამახარია - ფონდი სოხუმი
4. მერი გელაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
5. ელენე ფილევვა - კონსტიტუციის 42-ე მუხლი
6. წოვინარ ნაზაროვა - ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება
7. ნანა თოდუა - ასოციაცია მერკური
8. ქრისტინა კილანავა - ასოციაცია ”იმედი” დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის
9. იულია ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია ”თანხმობა”

განსახილველი საკითხები:

1. პოლიტიკური პარტიებისთვის მოსამზადებელი დანართის საკითხებზე მსჯელობა

გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფის შეხვედრა გახსნა პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, მაკა ჯახუამ.

პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა ისაუბრა ეროვნული პლატფორმის მიერ შემუშავებულ მიმართაზე, რომელიც უკავშირდება საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადის გაკეთებას, მომავალი ოთხწლიანი ციკლის განმავლობაში.

აღნიშნული მიმართვა მომზადდა ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს მიერ და მას ასამდე წევრი ორგანიზაციის წარმომადგენელი აწერს ხელს.

მიმართვა გავრცელდა მედია საშუალებებით და დაეგზავნათ პოლიტიკურ პარტიებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიმართვას გამოეხმაურა არაერთი პოლიტიკური პარტია.

შესაბამისად იგეგმება მათთან სამუშაო ფორმატით შეხვედრების გამართვა ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

სამუშაო შეხვედრებისთვის მნიშვნელოვანია რომ სექტორული მიმართულებით არსებული გამოწვევების ანალიზი მოხდეს ეროვნული პლატფორმის მხრიდან. საკოორდინაციო საბჭოს

წევრებმა შეიმუშავეს დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელიც ასახავს მნიშვნელოვან

საკითხებს მომავალი 4 წლის განმავლობაში. ქვეჯგუფის ჯგუფის შეხვედრამე ეს დოკუმენტი

გადაიგზავნა გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფის წევრებთან, რათა საბოლოოდ მოხდეს მათთან საკითხის შეთანხმება.

შეხვედრაზე მოხდა კონკრეტულ საკითხებზე მსჯელოდა და ჩამოყალიბდა ის

პრიორიტეტები და საკითხები, რომელიც დაემატება დოკუმენტს.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი

ქეთევან ჭურაძე